ρ-76.

15 ივნისი, 1930 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.




ტრაქტორის დღისათვის

# რიონჰესის მშენებლობა





რიონჰესს მიენიჭა
ამხ. სტალინის სახელი

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ბრძანებით რიონჰესს მიენიჭა ამხ. სტალინის სახელი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა

№-76



ნახ. ირ. [illegible]

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ინდოელი მედროშე

# ორი ქარხანა

## (ნაწყვეტი „ჭიათურა“-დან)

თითქოს მთები იზრდებიან, თითქოს მთები იმართებიან ზევით და მზეს ჩრდილავენ.

ცხენს მივაჭენებ; ჩემს ზურგიდან კი ეს გაზრდილი მთები უკან მიმდევენ, ბრუნავენ მწვერვალებით ზევით და წინ და ჩრდილებს შლიან.

წყნარდება გარემო.

სადღაცაა ამ ხევში ქარხნის შავი კვამლივით გაიშლება და დაინთხევა შავბნელი ღამე.

აღარავინ ჩნდება; თითქოს ყველა მთებსა და კლდეებს შეუხიზნა. ურმები აღარ ჩანს, არც ადამიანი. ჩხრიალებს პატარა მდინარე, —თვით შავი ეულობა თავისფერ ბინდს.

კილომეტრი გადავჭერ.

ვხედავ ქარხანას, რომელიც ჭმინავს ჩქარი და მძლავრი ხმით. ის როგორც რკინის ყულაბა ისე დგას ამ სალკლდოვან მთებში. მაგრამ ეს პატარა ლოლინის ამ უზარმაზარ მთის გულს.

თითოეული წუთის შემდეგ გამოგორიალდება ხოლმე რამდენიმე პატარა ვაგონი და გადაყრილი მარგანეცი გამოაქვს გარეთ.

აქა იქ მოსჩანან მუშები, რომელნიც აქ ვაგონებს მიაგორებენ და მარგანეცის გორაებს აშენებენ.

შიგ ქარხანაში სუნთქვაა, ძლიერი, ქარივით ძლიერი. გარედან გულისცემას ჰგავს, შიგნიდან ძარღვებში სისხლის ბრუნვას.

შევედი.

— გამარჯვება!.. სმენაგაბრუებული მივმართავ ქარხნის გამგეს.

ისიც მუშაა. მუშაობს დაზგასთან. გაღიმებულ სახეზე შავმტვერ ნარევი ოფლის ღარები დაეტყო.

— მოგვიტევეთ, სადაცაა მუშაობა შეწყდება.—მოეშვება ის და ხელს მართმევს — დაგვიწყოთ მაღლიდან.—განაგრძობს ის და ავდივართ ხის ვიწრო კიბეებზე ზევით, შენობის ჭერთან.

მღვრიანი წყალი ხის ოთხკუთხედი ღარით მოაგორებს კოშტოვან ქვას. ინჯღრევა ცხავი და სცრის მარგანეცს. მსხვილი ქვა პირდაპირ ქვედა სართულისკენ მიექანება, გაცრილი კი შემდეგი სართულის ცხავისაკენ, გაივლის ოთხ სართულს და გაწმენდილი გამდიდრებული მარგანეცით იტვირთება ქვედა სართულის დაზგები.

სართულებს მიუყვები ძირს.

ყველგან ერთი და იგივე ხმაური, ერთი და იგივე სახის მუშაობა. ყველანი თავს დასტრიალებენ თავ-თავიანთ დაზგებს და სიტყვაამოუღებლად მუშაობენ. პირდაპირ კი, ერთ-ერთი კედლის სიგრძეზე ტრიალებს ლერძი, ის შემობოქილია ტყავის ღვედებით და ეს მოძრავი ლერძი ატრიალებს ღვედებს, ღვედები დაზგებს ამოძრავებენ და მთელი ქარხანა ერთ მთლიან, შეწყობილ და უცვლელ გუგუნშია.

კედელზე დიდი ძველებური საათი ჰკიდია. ალბათ მძინარეს გააღვიძებს მისი ცემის ხმა, ახლა კი ქარხნის გუგუნში იკარგება, ქრება. მისი ისრები რვა საათს უჩვენებენ.

გარეთ, სპილენძნარევ ფოლადზე რკინა ეცემა და ქარხნის შენობაში, კედლების შიგნით, თუჯის ფურცელებივით მოგორავენ ხმები.

ეს ხმები ეცემიან, წვებიან კედლებზე, დაზგებზე; მისრიალებენ ღარებით ქვევით და ზევით და ქარხნის სპილენძში [illegible].

ორთქლის კივილი შემოტრიალდა დიზელის მქნევარა და მძიმედ შეჩერდა. შეჩერდა ქარხანაც, შესდგა დაზგები.

განუწყვეტელი, შეუჩერებელი, თავბრუდამხვევი ხმაური მოსწყდა ჰაერს, მაგრამ თითქოს ინერციის ძალით ბგერები მაინც ბრუნავენ, ბგერები მაინც გაისმიან, ბგერები მაინც ვერ ჩერდებიან.

ნელ-ნელ შეეპარა ჰაერს საათის ჯახუნი, ის თითქოს ეხლა გამოჩნდაო, თითქოს აქამდე თვალი ვერ ხედავდაო.

წუთი და აიშალა ქარხანა. ეხლა ადამიანების საუბარიც გამოჩნდა, გარკვევით მოსჩანს თითოეული ნაკვთი მათი სახისა.

და მუშები სახლში წასვლის წინ თავს ევლებიან დაზგებს. ისინი თითქოს დაღლილები არიან, გაოფლიანებულნი არიან და ძლივს დასვენებით ამოისუნთქეს. მუშები კი ოფლს იწმენდენ, თავს დასტრიალებენ, ასუფთავებენ; მერე კი წინსაფრებს იხსნიან, სამუშაო ტანსაცმელს იხდიან, ხელპირს იბანენ.

და შეჩერდა ქარხანა კმაყოფილი შრომით, ნაყოფით.

მძიმე ბოქლომის ჭერში დადუმდა მკერდი.

დილაზე კი, გათენებისას, ჯერ არც მზე იქნება ამოსული, არც მთვარე ჩასული, — შრომა ამოვა ჯანსაღი ნაბიჯით და ქარხნის სისხლის ძარღვებს აამოძრავებს.

მე და უფროსი მუშა ერთად მივდივართ.

წამდაუწუმ ირგვლივ ვიხედები, ერთ კენჭის დაგორებაც კი ჩვენს ყურადღებას იპყრობს.

ხევში უზარმაზარი მანქანის შავი ღვედი სისინებს. მაღლა კი ცა იწურება და ქრება.

სიბნელეს იცის აღმაფრთოვანება გულისთქმათა, შეერთება, შეკავშირება. ალბად ისიც იმას ფიქრობს, რასაც მე.

— როგორ მოგწონთ, ურმებით რომ ეზიდებიან შავ-ქვას.—ვეკითხები. ჩემი ხმა ისე გაისმის, როგორც გატეხილი ფანჯრის ხმა, რომელიც ნამსხვრევებთან ერთად ძირს ეცემა.

ამ სიცარიელეში ძირს დაეცა ჩემი სიტყვები გაბზარული და დასუსტებული.

— ამ ეტაპზე ვერ დავაღწიეთ თავი. თითქმის ყველა მაღაროებთან საჰაერო გზა არის გაყვანილი, მაგრამ ამ რაიონის ხეობას ვერაფერი ეშველა. ხარები ცალკე იხოცებიან, ადამიანები ცალკე.

— გეგმები და ხარჯთაღრიცხვა უკვე განხილული და დამტკიცებულია, ამ ხუთწლიან გეგმით მთელი ჭიათურის მიდამოები საჰაერო გზებით იქნება დაქსელილი.—განაგრძობს ისევ მან და ამ ყრუ ღამეში რამდენჯერმე ყრუდ ჩაახველა.

— ხუთწლიანი გეგმა!.. რასაკვირველია ჭიათურასაც ააყვავებს, გარდაქმნის.

— თქვენ არ გეგონოთ ადვილი იყოს ამ გეგმის შესრულება. იცით რამდენი მტრები გვყავს.

ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებას ვაცხადებთ, მუშებს ვახალისებთ, ჩვენი მტრები კი ვეირაბებს გვინგრევენ, მერე გაუფრთხილებლობას აბრალებენ. ჩვენ მარგანეცის თვითღირებულების დაწევა გვინდა, ისინი კი ხარისხს სწევენ. სიტყვა მტრებს გარკვეულად ხაზი გაუსვა. მე არ ვიცი რა გამოხატა ამ დროს მისმა სახემ, მის სიტყვებიდან კი ბრაზი და ბოღმა იღვრებოდა.

უზარმაზარ, უმაღლეს მთის კიდეს გამოვცდით, თითქოს [illegible] შევდგით ფეხი. აქ ცაც განათდა, მიწაც და გარემო გორებიც.

ერთი მთის ფერდობზე ქოხია აგებული. მის ერთად ერთ ფანჯრიდან უფერული სინათლე გამოკრთის.

თვალს გავყვები პირდაპირ, გორაკებს შორის და ხევის შიგნით, შორს ელნათურებს დაინახავ ციცინათელებივით მოციმციმეებს.

მარჯვენივ კლდის ძირში და სიღრმეში ოთხ სართულიანი შენობა სდგას. [illegible] შევამჩნიე ეს.

ძირს ეზოში უთავბოლოთ ჰყრია ვაგონეტების ბორბლები, დაგრეხილი რელსები, და მპალი, გამოფიტული დედა კოჭები და ლოდინები.

შიგ კი, შენობაში, რომელსაც წინა კედელ-ჩამონგრეულ-ჩამოხსნილი აქვს, მოსჩანს ბოძები წაქცეული, ნახევრად კედლებში ჩამჯდარი. უზარმაზარი რკინის ბორბალს ალტაკი ჩაუჭერია და ნახევრად შიგ ჩამჯდარი გადაყირავებული დგას. ჩანგრეულია კიბეების საფეხურები. ჭიტკარით ნაგები სწორკუთხედები, რომლებსაც მხოლოდ ლითონის დაჟანგებული ბადეები შერჩენია, ისიც უვარგისი და უხმარებელი ობლად გამოიცქირება, მიგდებულია ეს ოდესღაც დაზგები მომქმედი, მოძრავი და ხმაურიანი.

შენობა მივიწყებულია უყურადღებოდ. მკვდარია და უპატრონო, როგორც ზღვაში ჩაძირული გემი.

— ეს რა არის?..

— ქარხანა იყო!..

— მერე, დაიწვა?!.

ის გაშტერებული უცქეროდა შენობას, თვალს არ აშორებდა და თითქოს მასზე ლაპარაკი არ უნდოდა. ეხლა მის ძარღვებს თოკებივით სძიმგნიდა ეს სანახაობა, სახე ჭვასმით ჩამოცვეთა, ნაკვთები დაეჭიმა და რამოდენიმე ხნით უმოქმედობაში ჩავარდა; მერე კი ეს სიკვდე ზედ ჩამოაცნა. დაიღლევენთა, დაუნაღვლიანდა. რა დიდი ტკივილი განიცადა ამ წამებში, რა ბოღმა, რა ნაღველი?!.

— ქარხანა დგას?!!—წაილუღლუღა მან. ცოტა გარუმების შემდეგ ისევ განაგრძო,— ხუთმეტ წელიწადს ვმუშაობდი ამ ქარხანაში, ყმაწვილი ბიჭი ვიყავი აქ რომ დავდექი, ყეით, რამდენი ღამე გამითენებია ამ კედლებში?!.

ძან მოაგონდა მთელი თავისი ახალგაზრდობა და ალბათ ქარხნის სიცოცხლეც, რადგან ისინი ერთმანეთზე გადანასკვული იყვნენ.

ლაპარაკი უმძიმდა. სწყინდა ქარხნის უმოქმედობა. გადაწყვიტე სხვა საგანზე დამეწყო ლაპარაკი, მაგრამ მანვე არ დამაცადა.

— იცით, ეს ქარხანა მხოლოდ სამი წელიწადია რაც შეჩერდა. კარგად მოწყობილი იყო, მაგრამ ამერიკელმა კონცესიონერებმა გააჩანაგეს. ისინი თანდათანობით ამცირებდნენ წარმოებას. ითხოვდენ მუშებს; ვეირაბებში მუშაობა სწყდებოდა და ქარხნებიც ჩერდებოდა. გაჩერებულ ქარხნებს, როგორც სამარაგო ნაწილების საწყობს, ისე უცქეროდნენ. ჩვენ ვხედავდით თუ ჩვენი თვალის წინ როგორ აცლიდენ ქარხნებს სხვადასხვა ნაწილებს და იხმარდენ რჩეულ ქარხნებისათვის. გაუმჯობესების მაგიერ მთლად დაგვინგრიეს წარმოება. ყველა ქარხანა შეჩერდა და უპატრონოდ ეგდო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მე ვუსმენდი მის ლაპარაკს. სიტყვების გარდა მესმოდა მისი გულისთქმაც და სინამდვილეც. თითქოს მის ღვიძლ, მის სიხარულით და ჭირით შეზრდილ დალუპულზე მოსთქვამდა.

— რით ჩაიდინეს ასე?..

— შესცდა, ჩემო ძმაო, შესცდა, ისე ვერ გაინავარდა როგორც სურდა, მუშების ექსპლოატაციას ვერ ახერხებდა. სხვის ზურგზე უნდოდა გაეთამაშა, მაგრამ პროფკავშირები ყველაფერში ჩვენს წესებზე მიუთითებდნენ. თავიანთ ნებაზე ვერც ვინმეს ითხოვდენ, ვერც ამუშავებდნენ. ხელფასიც კავშირთან შეთანხმებით იყო დაწესებული და ტყავის გაძრობა რომ ვერ მოახერხა დანგრევით წასვლა არჩია.

თითოეული ჩემი სიტყვა მის გალიზიანებას გამოიწვევდა. მე შემეძლო ჩემი რომელიმე შეკითხვით მისი უსაზღვრო ბოღმა წამომეშალა, გამეასკეცებინა და გამოეხატა ქარხნებისადმი ის სიყვარული, რომელიც პატარა ხრახნმაც კი თავის წილად ჩაიწერა. [illegible] ჩარევა ვარჩიე. არ ვარგა გრძნობებთან თამაში.

ის კი მაინც განაგრძობდა:

— შარშან ზამთარი მეტის მეტი ცივი დადგა. ამ ქარხნის წყალსადინ მილებიდან წყალი არ გამოიშვით და ყინვისაგან დამსკდარიყო: წყალტუმბოები, ცილინდრის სახურავი, მილები. ზოგმა კი ხე და ფიცრები გაზიდა. თითოეული გამვლელი მეურმე თავს ვალდებულად სთვლიდა თითო ბოძი მაინც ჩამოეძრო და წაეღო. ასე გაზიდეს ქარხანა, გაანადგურეს.

— ჩვენმა ტრესტმა რაღათ მიატოვა ასე, რატომ არ აღადგინეს?..

— წარმოება ჩვენს ხელში გადმოვიდა თუ არა, მაშინვე შევუდექით მაღაროებისა და ქარხნების აღდგენას. ავამუშავეთ ოცდახუთი ქარხანა. მაგრამ ეს იმდენად დაზიანებული იყო, რომ ახლის აგება უფრო ნაკლები დაჯდებოდა, ვიდრე ამის ამუშავება.

ძლივს მოსწყვიტა თვალი თავის კუთვნილებისა და შრომის სამშობლოს.

მივდიოდით ისევ უკან ფეხების ბაკუნით და ქვიშის ჭრიალით მოგვყვებოდა ცხენი ჩემი, წყნარი და ჭკვიანი.

იზრდება ქალაქი ჭიათურა. მოდის, გიახლოვდება და თვალწინ გუგებში გეფარდება.

ე. პოლუმორდვინოვი.

# ფოლადის რაზმები
## (ტრაქტორის დღის გამო)

საბჭ. ხელისუფლებამ თვისი დამყარების დღიდანვე ხელი მოჰკიდა სოფლის მეურნეობის წარმოების ძველი წესების შეცვლას. მან მიზნად დაისახა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი ფორმების სოციალისტურად გარდაქმნა. ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის შესრულება დაეკისრა, სოფლად სოციალიზმის მშენებლობის უძლიერეს იარაღს—ტრაქტორს.

საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მშრომელ გლეხკაცობამ ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის უკანასკნელი სამარცხვინო ნიშანი,—კავი არქივს ჩააბარა, მუშა საქონლის შრომა შეამსუბუქა და საქართველოს მინდვრებზე ტრაქტორი ააგუგუნა.

სულ მცირე ხნის განმავლობაში საქართველოში შემოტანილ იქნა 300-ზე მეტი ტრაქტორი, ჩამოყალიბდა ოცამდე სატრაქტორო კოლონა და მოეწყო 3 სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

ტრაქტორების დახმარებით წელს ზაფხულში ვარაუდთან 25 დღით ადრე გათავდა მარცვლეული კულტურების თესვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ტრაქტორების გავრცელებას გაბოროტებული წინააღმდეგობა გაუწია კულაკობამ. კულაკებმა კარგად იცოდნენ, რომ მათს ანგარიშ და ექსპლოატატორულ ზრახვებს ნიადაგს გამოაცლიდა ტრაქტორი და ამიტომ მათ საზიზღარი ჭორები გაავრცელეს ტრაქტორის შესახებ:

— ტრაქტორით მოხნულ მიწაზე ერთი მარცვალი მოსავალიც არ ამოვა—ეუბნებოდნენ კულაკები გლეხებს. კულაკების ამ მტკიცებიდან არაფერი გამოვიდა და ტრაქტორით მოხნულ მინდვრებში საუკეთესო ყანები აბიბინდა.

— ეს არაფერია—იძახდნენ კულაკები,—რაც ყანები რომ გინდათ, მოსავლის მთლიანად მოგროვება წაიღებს ტრაქტორის ქირაში და თქვენ პირლია დარჩებითო — არწმუნებდნენ ისინი ღარიბ და საშუალო გლეხებს.

ერთი ჰექტარი მიწის მუშა-საქონლის გუთნით მოხვნაში კულაკები 50—60 მანეთს ახდევინებდნენ უმუშასაქონლო გლეხებს; კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობები კი ერთ ჰექტარ მიწის ტრაქტორით მოხვნაში 12 მანეთს და 60 კაპეიკს იღებენ ღარიბ და საშუალო გლეხებისაგან. ამ გარემოებამ კულაკურ პროვოკაციას ნიადაგი გამოაცალა და მშრომელი გლეხკაცობა ათასობით დარაზმა სატრაქტორო კოლონების და სატრაქტორო სადგურების გარშემო.

სატრაქტორო მშენებლობა ჩვენ ქვეყანაში დღითი-დღე იზრდება: ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში და სხვა სამრეწველო ცენტრებში საძირკველი ჩაეყარა ტრაქტორების სააღმშენებლო ქარხანა-გიგანტებს და 5 წლიანი გეგმის ბოლოს ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ყოველწლიურად გამოუშვებს 150.000 ტრაქტორს.

ამ ორიოდე წლის შემდეგ ტრაქტორი უფრო მასიურად შეიჭრება ჩვენს სოფელში; ტრაქტორი გაამაგრებს სოციალისტური მშენებლობის საფუძველს, ჩვენი სინამდვილიდან ალაგებს კულაკურ მეურნეობას, ბოლოს მოუღებს საშუალო გლეხობის მცირე ნაწილის მერყეობას და მეტის ნაბიჯით წაიყვანს სოფელს ახალ-ახალ მიღწევებისაკენ.

ოცი აგვისტო ტრაქტორის დღეა. ამ დღეს სატრაქტორო მეურნეობის ფრონტზე მოპოვებულ მიღწევათა დემონსტრაცია უნდა მოვაწყოთ. ამ დღეს სატრაქტორო მეურნეობა-მშენებლობაში მოპოვებული გამარჯვებების გამოფენით ჩვენ მთელს მსოფლიოს დავანახვებთ, რომ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას სოციალისტური მრეწველობის აყვავება შეუძლია „ბატონ" კაპიტალისტების დახმარების გარეშე, რომ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია გიგანტური ტემპებით იზრდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ტექნიკურად და ეკონომიურად „დავეწევით და გავუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს": საბჭოთა ტრაქტორები, კომბაინები, ტურბინები და სხვა სამრეწველო მიღწევები თვალნათლივ ამტკიცებს ამას.

ტრაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, ტრაქტორი ძირფესვიანად ანგრევს ყოველგვარ ჩამორჩენილ ფორმებს და მას უდიდესი ეფექტი და შრომის ნაყოფიერება შეაქვს სოფლის მეურნეობაში.

ტრაქტორი საბჭოთა სოფლიდან შეუბრალებლად აძევებს სიღარიბეს და ჩამორჩენას, ტრაქტორი კოლექტიური შრომის წარმოებისათვის რაზმავს მშრომელ გლეხკაცობას და აახლოვებს სოციალისტური მეურნეობის მაღალ ფორმებზე გადასვლას.

ტრაქტორი, აუტანელი და ჯოჯოხეთური შრომისაგან ათავისუფლებს სოფლის მეურნეს და მუშა-საქონელს.

ტრაქტორი აუმჯობესებს მიწის დამუშავების ხარისხს, ხელს უწყობს აგროკულტურულ ღონისძიებათა გავრცელებას, ადიდებს ნათესების არის და ზრდის მოსავლიანობას.



ტრაქტორი არღვევს წვრილი და უწვრილესი მეურნეობის უმარაგო მოსაქმეობას და ხელს უწყობს მსხვილი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას.

ტრაქტორი ძირს უთხრის კულაკობის კაბალურ ექსპლოატაციას და ხელს უწყობს კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობას.

ამის გამო ჩვენი ვალია საკუთარი თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ ყოველ ტრაქტორს, გონივრულად მოვეპყრათ მას და უზრუნველვყოთ სატრაქტორო მშენებლობის შემდგომი ზრდა.

დავაჩქაროთ და გავადიდოთ ტრაქტორების მშენებლობა, მივცეთ სოფელს მოწინავე ტრაქტორისტების საიმედო კადრები, გავაუმჯობესოთ ტრაქტორების გამოყენება და ვიბრძოლოთ კოლექტიური მოძრაობის საბოლოო გამარჯვებისათვის—აი ტრაქტორის დღის ძირითადი ლოზუნგები.

ფოლადის რაზმებით წინ—სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ.

# დავით კლდიაშვილი

## (მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს გამო)

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს, სოფელ სიმონეთში.

მამა მისი სამსონ კლდიაშვილი ეკუთვნოდა წვრილ მესაკუთრე აზნაურობას, იგი მსახურობდა ქუთაისში, ოჯახს კი განაგებდა მწერლის დედა კესარია ლოლობერიძის ასული, ქალი მეტად გონიერი და ლმობიერი. იგი მეტათ ყვარობიათ თავის კუთხეში, დიდათ პატივსა სცემდენ და ამის გამო პატარა დავითს ბავშობა მეზობელთა განსხვავებულ სიყვარულში გაუტარებია.

ექვსი წლის ყოფილა, როცა ქუთაისში წაუყვანიათ და რამდენიმე ხნის შემდეგ მიუბარებიათ ანდრია მრევლიშვილის სასწავლებელში მოსამზადებელ კლასში.

1872 წელს შეუგროვებიათ თავადაზნაურთა ბავშვები თბილისისა და ქუთაისის მაზრაში და ჩვეულებრივ გამოცდის შემდეგ წაუყვანიათ რუსეთში, კიევის სამხედრო გიმნაზიაში მისაბარებლათ.

წაუყვანიათ სულ 42 ბავში, გიმნაზიაში დაუტოვებიათ ოცდახუთი. ამ ოცდახუთისგან, მხოლოთ ხუთს გაუთავებიათ გიმნაზია, დანარჩენი ზოგნი დახოცილან, ვერ აუტანიათ ჰავა, ზოგნი კიდევ გამოურიცხავთ. „საოცარი იყო ჩვენი მდგომარეობა, იგონებს დავით კლ—შვილი, წლის დამლევს ბავშებს თანდათან გვავიწყდებოდა სამშობლო ენა, გულდაწყვეტილნი მოვიყრიდით ხოლმე სალამოობით თავს და ვეძალებოდით ჩვენს თავს, ქართულათ ვცდილობდით მოვყოლოდით ზღაპრებს, ან რაიმე ამბავს, მაგრამ თანდათან გვიძნელდებოდა ეს და ბოლოს იქამდე მივედით რომ ყველა ჩვენგანი სრულიათ გადაეჩვია ქართულათ ლაპარაკს. უფროსს კლასებში იყვნენ ჩვენზე წინათ მოყვანილი ქართველი ბავშები, მაგრამ ამათ უკვე დიდი ხნიდან გადაეიწყებული ჰქონდათ სამშობლო ენა. ჩვენ გამწარებას საზღვარი არ ჰქონდა და გამწარებას ისიც დაერთო, რომ ერთ ერთი აღმზრდელთაგანი, როცა მოგვმართავდა, უსათუოდ დაატანდა ხოლმე ჩვენდა მიმართ: „ტატარჩუკო".

შემდეგ მწერალი ჰყვება, თუ როგორ უჩივლეს ბავშებმა ამ ტუტუც აღმზრდელს და როგორ გასჭრა საჩივარმა და მოაშორეს უდიერი აღმზრდელი.

სამი წლის შემდეგ დავითი საზაფხულოდ დაბრუნებულა კიევიდან თავის სოფელში, მაგრამ ისე დავიწყებია თურმე ქართული ენა, რომ დედას თარჯიმანის საშუალებით ელაპარაკებოდა, რადგან დედას კიდევ რუსული არ სცოდნოდა, მაგრამ შემდეგ ყოველ ზაფხულობით ბრუნდებოდა სოფელში და ქართული ისე შეისწავლა, რომ თავის სათქმელის გადაცემა შესძლებია.

უმაღლეს კლასებში ყოფნის დროს დავითს გაუცვნია კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, მომავალში ცნობილი მწერალი და ქართულის საუკეთესო მცოდნე და ოსტატი ნიკო ლომაური.

მიუხედავად წელთა განსხვავებისა ნიკო ლომაური ძალიან დამეგობრებია ახალგაზრდა გიმნაზიელებს, განსაკუთრებით დავითს და თითქმის ყოველდღე ნახულობდა მათ.

ნიკო ლომაურის მეგობრობას დიდი გავლენა ჰქონია ნიჭიერ ახალგაზრდაზე და პირველად აქ დაუწყია მწერლობაზე ფიქრი, უმთავრესად ქართული ენისა და ისტორიის შესწავლაზე.

გიმნაზია დავითს გაუთავებია 1880 წელს და გადასულა მოსკოვის სამხედრო-სასწავლებელში, რომელიც 1882 წელს გაუთავებია.



**დავით კლდიაშვილი**

**29 ივნისს გადახდილ იქნება იუბილე მისი სამწერლო ასპარეზზე 40 წლის მოღვაწეობის გამო**

ს. მსახური მიუციათ ბათომში, სადაც მას დაუყვია ოცდაექვსი წელი.

ბათომში დავით კლდიაშვილი მოხვედრილა ისეთ წრეში, სადაც იკრიბებოდა მომავალი თაობა, მათ შორის ცნობილი მწერალი გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე) ივ. მესხი და სხვ.

აქ დავ თი დაეწაფა ქართულ მწერლობის საფუძვლიანად შესწავლას, თანაც გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად სთარგმნიდა მოთხრობებს და გაზეთებში ათავსებდა წვრილ კორესპონდენციებს.

1896 წელს დავით კლდიაშვილს დუელში გამოუწვევია ბათომის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორი, ცნობილი შავრაზმელი პალმი. მიზეზი ის ყოფილა, რომ პალმს თავის გაზეთში ხულიგნური წერილი დაუწერია ერთ თვალსაჩინო ქართველ მოღვაწის შესახებ.

მაგრამ დუელი ვერ მომხდარა, რადგან ჩარევიან რუსის ჩინოვნიკები. მხოლოდ თავის დროზე ამ ამბავს დიდი გახმაურება ჰქონია.

განსაკუთრებით მძიმე ყოფილა დავით კლდიაშვილისათვის სამსახური 1902 წლიდან მოყოლებული, როცა ბათომში ეწყობოდა მუშათა გაფიცვები და მთავრობა სასტიკი რეპრესიებით ცდილობდა მუშათა მოძრაობის ჩაქვლას.

ხშირად დავითს აუმაღლებია ხმა ასეთი უსამართლობის წინაშე, როცა უიარაღო ხალხს პროვოკაციის მიზნით ტყვიებს უშენდენ.

„მეტის მეტი მძიმე ხანა იყო, იგონებს მწერალი. ჩემი უფროსები და ბევრი გარეშენიც ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ რამე რიგათ ხელში ჩავვარდნოდი და როგორც ერთგვარ რწმენის მალიარებელისათვის, ძიხო გამოეთხარათ ჩემთვის. მიზეზათ მოშიდვეს რომ ოდესაში მოკლული საშა კლდიაშვილის გვამის გადმოსვენება'. ბათომიდან ქუთაისში გამოვყევი. ცნობილმა გენერალ გრიაზნოვმა, ამისათვის ბრძანება გამოსცა, რომ სამი დღის განმავლობაში გავეგზავნე დაღესტანის დემოგარში მდგარ სამურის პოლკში. ბრძანებამ დაიგვიანა, რადგან გრიაზნოვი ჯორჯიაშვილმა მოჰკლა და გზაც შეიკრა'. დავითი შემდეგ დაბრუნებულა ბათომში, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონია დაეწებებინა თავი სამსახურისათვის, თუმცა ამისათვის მისი გადაწყვეტილება ზედმეტიც იყო, რადგან მთავრობამ უკვე მიიღო ზომები მის გასაძევებლად. პოლკის კომანდირმა პირდაპირ მისწერა მთავარ მართებელს-მეტად არა საიმედო შტაბ ოფიცერია და არავითარი ეჭვი არ არის, რომ მოძრაობას ეცხრობაო.

„მეფის მოადგილემაც დროის შესაფერისად დაინახა მისი სამსახურიდან გასვლა". ამის შემდეგ დავით კლდიაშვილი ესახურობდა მეორე ჯამაგირზე ქუთაისის ქალაქის გამგეობაში და შემდეგ შავი ქვის საბჭოში; მაგრამ მალე ავადმყოფობის გამო თავი დაანება სრულიად სამსახურს. ავადმყოფობა უშლიდა დავით კლდიაშვილს უფრო გამოეყენებია თავისი იშვიათი მწერლობის ნიჭი, თუმცა სულ რამდენიმე წელია, რაც „მნათობში" დაიბეჭდა მისი ცხოვრების თავგადასავალი, რომელიც არ ჩამოუვარდება არც ერთ მის მხატვრულ ნაწარმოებს, იშვიათი გამჭრიახობით და კონკრეტული მასალით არის გამოკვეთილი. მიუხედავათ მოხუცობისა და ავად ყოფნისა, არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივი წამოწყება, რომ დავითი მისი აქტიური მოსაქმე არ ყოფილიყო.

ყველას ახსოვს მისი გამოკვლევები ამ ათი წლის განმავლობაში, როცა ის მედგრათ ცოდნოდა ახალ თაობას, ახალ ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით სამახსოვროა მისი და ვასილ ბ რნოვის გამოსვლა სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის ავის იუბილეზე, როცა კულტურულ აქტივით სავსე მთელი თეატრი ფეხზე ადგა ით მიესალმა სიცოცხლით სავსე მოხუცს, რომელიც ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ კულტურის ფრონტზე.

დავით კლდიაშვილის პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ მოამბეში და იმ თავითვე მიიპყრო როგორც საზოგადოების, ისე კრიტიკის ყურადღება: და ეს ინტერეს ი მას გაჰყვა ბოლომდე.

მის ნაწარმოებში ცნობილია „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", ქამუშაძის ოჯახი" და სხვა წვრილი მოთხრობები. დავით კლდიაშვილს აქვს აგრეთვე კომედიები: „დარისპანას გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება", ეს პიესები ეხლაც დიდი ინტერესით იდგმება სცენაზე. სცენისთვის გადაკეთებულია აგრეთვე „სამანიშვილის დედინაცვალი", რომელიც კინოშიც დადგა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

**ტ. ტაბიძე.**

# დავით კლდიაშვილის შემოქმედება

მე-19 საუკუნის ფეოდალურ-კრიპოსტული ეკონომიკა სიკვდილის პირს მიაყენა კაპიტალიზმმა. ხდებოდა ის, რაც ისტორიულ აუცილებლობის მიერ იყო ნაკარნახევი.

ამ მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ძვრამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროს. მოკლედ — ქართული ეკონომიკა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯით გაემართა კაპიტალიზმისაკენ.

ეკონომიური ცხოვრების ცვლამ რადიკალური გარდატეხა მოახდინა ჩვენს სინამდვილეში. ფეოდალიზმს ისტორიის არქივი ემზადება თავის თაროებზე დასაწყობად, ისტორიის სინამდვილე მიუქარგავდა უკან თავად-აზნაურობას და მის საარსებო ეკონომიურ ბაზას ალღიდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა და აჩქარებდა ჩვენში კაპიტალიზმის განვითარება.

მე-19 საუკუნეში მომხდარი ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ილია ჭავჭავაძისათვისაც იყო შესამჩნევი და იგი სწერდა, რომ ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდან გამოვიდა და ახალი გზა ჯერ კიდევ ვერ გაუკვლევია, ახალი ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძველით თუ კაცს გზა ერევა: „უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ველარ მოუხერხებია" ასე მოუვიდა ჩვენში თავად-აზნაურობას ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესის დროს.

ახალმა ცხოვრებამ თავისებური დაღი დაასვა მათ და გადაასროლა ისინი ისტორიის სიძველეთსაცავში. აზნაურები გაკოტრდენ როგორც ეკონომიურად, ისე სულიერად.

დავით კლდიაშვილმა თავის შემოქმედების თემები სწორეთ აქედან აიღო და გადმოგვცა ის მხატვრულ ტილოებზე. დ. კლდიაშვილის წერის მანერა სატირულია. ამ სატირის ქვეშ მან საშინლად გაშოლტა და გაამათრახა დაუნდობლად, შეუბრალებლად მხატვრულ ტილოებზე ეპოქის მიერ ისედაც გამათრახებული უსაქმო მოლაყბე თავად-აზნაურთა წოდება.

დ. კლდიაშვილის სატირა სოციალურ მნიშვნელობისაა, რომელიც მომდინარეობს ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან. დ. კლდიაშვილის შემოქმედების გზა რეალისტურია.

კლდიაშვილის სატირა მეტად დროულია, რომელიც ასე ესაჭიროებოდა ჩვენს მაშინდელ ცხოვრებას.

კლდიაშვილის ნაწარმოების კითხვის დროს თუ იცინის ადამიანი, ამ სიცილში საშინელი კლასობრივი იდეებია გადმოშლილი. მთელი ეს სიცილი გამოწვეულია აზნაურების იმ უბედურ მდგომარეობის აღწერით, რომელსაც მწერალი გადმოგვცემს. მაგრამ ეს სიცილი არ არის დაუსრულებელი და უმიზნო, არამედ მასაც აქვს თავისი განსაზღვრული დრო და ადგილი. ვის არ გაეცინება სოლომონ მორბელაძის ან და სამანიშვილის დედინაცვლის კითხვის დროს, მაგრამ აქ მარტო სიცილის შთაბეჭდილება არ რჩება, არამედ კლდიაშვილის ნაწერებში ნაგრძნობია ჩვენი მაშინდელი ეპოქის მაჯის ცემა.

მისი მოთხრობის ტიპები გარდამავალ პერიოდის ტიპებია. „აზნაურები ამ პერიოდშია მოცემული, როდესაც დაუნდობელი ბრძოლა ჭიდილია გამართული ფეოდალიზმსა და კაპიტალისტებს შორის. კლდიაშვილის აზნაურები ამ ისტორიული ჭიდილის მსხვერპლნი არიან.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ძვრები შეეხებოდა ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს, მაგრამ კლდიაშვილმა ამ გარდატეხის ერთ მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს მოჰკიდა ხელი და იკისრა ამის მხატვრულ ტილოებზე გადმოცემა, ყოველ უბრალო მაგრამ მნიშვნელოვან დეტალებითაც კი.

ზოგიერთ კრიტიკოსებს გონიათ, რომ კლდიაშვილის სატირა თავად-აზნაურობის მიმართ არის ტენდენციური და წინასწარ განზრახული. ჩვენ ვფიქრობთ ეს შეცდომაა. ეს შეცდომაა იმიტომ, რომ ამ ხალხს ავიწყდებათ რეალიზმის ბუნება. ვის შეუძლია თქვას ის, რომ „სოლომონ მორბელაძე" ან „ქამუშაძის გაჭირვება" ტენდენციურადაა დაწერილი. რა თქმა უნდა არავის, გარდა ეკლექტიკებისა.

„სოლომონ მორბელაძის" ცხოვრება თავიდან ბოლომდე სასაცილოა, მაგრამ ამ სიცილში სოციალური მნიშვნელობის მოვლენებია გადმოშლილი. მიუხედავათ იმისა, რომ სოლომონს არაფერი არ გააჩნია, მას მუშაობას ურჩევნია მაჭანკლობა და თავისი ჯორით ქუჩა-ქუჩა ძაღლივით ძუნძული. თქვენ იცინით როდესაც სოლომონი მიეჯახირაკობს თავისი ჯორით სამაშველოთ, მაგრამ არც აქაა ხეირი. მას ბზირათ ბედი არ წყალობს. აბა მოიგონეთ მაჭანკლობა ბესარიონის ქალიშვილსა და ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს შორის. როგორ საშუალებას არ მიმართავს სოლომონი, რომ საქმე მოაგვაროს არა სხვის სასარგებლოდ, არამედ თავისათვის, მაგრამ მას ბოლოს სამაშველოსას რაღაც 6 მანეთსა და ხარის ტყავს წამოუგდებენ გასამრჯელოთ.

სოლომონი აღელვებულია, რა ქნას არ იცის. იგი მარცხდება ამ გზაზე, მაგრამ მაინც არ ანებებს თავს ამ ხელობას. ან და როგორ უნდა დაანებოს თავი, როდესაც იგი შრომას არაა მიჩვეული. პატიოსან შრომით შეძენილ 1000 მანეთს მას ურჩევნია ქუჩა-ქუჩა ხეტიალით შეძენილი 6 მანეთი. მიუხედავათ ამდენი დამცირებისა სოლომონში მაინც არ არის მიჩქმალული თავადაზნაურული ქედმაღლობა და მას მუდამ წინა პლანზე აყენებს იგი, მაგრამ რა ქნას დრო არ უმართლებს იმედებს სოლომონს. მისი შემბრალე ამ ქვეყნად არავინ რა არის, გარდა თავის ჯორისა. ასე დაათრევს და დააჯახირაკებს სოლომონი თავის ცხოვრებას.

მეტად მნიშვნელოვანია კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" აქ ჩვენი ცხოვრების მტკივნეული მხარე სინამდვილის ასპექტშია მოცემული. მოთხრობა სასაცილოა და ამავე დროს ტრაგიკულ მომენტებით სავსე. არსად ისე თავისუფლად არ ალაპარაკებულა სატირულად დ. კლდიაშვილის კალამი, როგორც ამ ნაწარმოებში.

დიალექტიკის კანონის თანახმად ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს, არაფერი არ ჩერდება სტატიურ ფორმაში. კაპიტალიზმის არსებობა ჩვენში უკვე რეალურ საგნად გადაიქცა. მისი თანდათანობის განმტკიცებამ უფრო შებორკა და გაღატაკების გზაზე დააყენა აზნაურები. მათში უკვე ხდება ღრმა ფსიქოლოგიური გარდატეხა.

ფეოდალური ინსტიქტები უკანასკნელად ესალმებიან აზნაურებს და ერევიან კაპიტალიზმის ფერხულში. ეს მომენტი კლდიაშვილისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა და მან ეს საკითხი ქამუშაძის გაჭირვებაში მეტად მწვავედ დააყენა.

ყველა აქტუალური საკითხები, რომელიც კი დ. კლდიაშვილმა წამოჭრა თავის მოთხრობებში, თავმოყრილია „ქამუშაძის გაჭირვებაში". ქამუშაძის გაჭირვება ჩვენი ცხოვრების შემდგომ დროის მოთხოვნას უსწორებს ნაბიჯს. ამ ნაწარმოებში ღრმადაა ნაგრძნობი ის გარდატეხის პროცესი, რომელიც მაშინ ხდებოდა. თუ კი პირველ ხანებში აზნაურები მარტო მიწაზე იყვნენ მიჯაჭული და მის იქით ვერაფერს ვერ ხედავდენ, ეხლა კი მიწის გარდა რაღაც ყოფილა საჭირო, რომელმაც დისონანსი შეიტანა მათ ცხოვრებაში.

ოტია ქამუშაძე აზნაურია სხვებთან შედარებით ცოტა შეძლებული, მაგრამ უბედურებაში ჩავარდნილს მაინც არაფერი არ შველის. აზნაურები ისე დაეცნენ და გაკოტრდენ, რომ გლეხებსაც კი გაუთანასწორდენ, მაგრამ ისინი მაინც გლეხებზე მაღლა აყენებდენ თავიანთ თავს, რადგან ხელთ ჰქონდათ „პრივილეგიური წოდებრიობა".

ჩვენი ეკონომიკა მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში განვითარების ახალ სტადიაში შევიდა და მან ახალი მოთხოვნილებები წამოაყენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მთლად გაკოტრდენ აზნაურები და მათ კლდიაშვილმა შემოდგომის აზნაურები უწოდა. ეკონომიურმა პირობებმა მოხარა და წაართვა ცხოვრების წინაშე მათი წოდებრივი ქედმაღლობა. ოტია ქამუშაძე არ ჩივის არც აზნაურობას და არც სხვა რაიმეს, ოღონდ თავისი ბავშვი მოანათვლინოს მის მეზობლად მცხოვრებ შეძლებულ გლეხს. აქ ოტიას ეკონომიური პირობები ამოძრავებს. იგი ფიქრობს, ჩემი ნათლია (მიუხედავათ იმისა, რომ გლეხია) გაჭირვების დროს დამეხმარება და სიმშილისაგან არ მომკლავსო.

ცხოვრების სინამდვილემ დაანახა ხალხს, რომ საჭიროა ფული. დაიწყო მასიური მოძრაობა. სტოვებენ სოფელს და მიდიან ქალაქში. ოტიას ცოლი ქალაქელია. იგი სოფლის ჩაკეტილ ცხოვრებას ვერ იტანს და თავის ქმარს მუდამ ქალაქში წასვლაზე ელაპარაკება. ოტიას მიწის მუშაობის გარეშე არ ესმის თავის არჩენა, მაგრამ ბოლოს ის იძულებულია მაინც დასტოვოს სოფელი და ქალაქს მიაშუროს. ამ მომენტების გადმოცემის დროს კლდიაშვილმა გამოიჩინა დიდი დაკვირვება.

შემოდგომის აზნაურების ცხოვრების გარდა, მან მოგვცა სოფლის ტიპები, რომლებიც არას დროს არ მოკვდებიან ქართულ ლიტერატურაში. მაგალითად ბიაშვილი, მისი პერმანენტალური ტრაბახი, თითქოს ეხლაც გესმის ადამიანს ისე ცოცხლადაა მოცემული, ან და ეკვინიძეს ტრაბახობა, მიუხედავათ იმისა, რომ მას არაფერი გააჩნია. კლდიაშვილის მოთხრობაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი სოფლის საჭირბოროტო საკითხებს. დამაჯერებლადაა მოცემული სოფლის ცრუმორწმუნეთა ამბავი, რომელიც ბოლოს და ბოლოს სისხლის ღვრამდეც კი მიდის.

ეს დაჩაგრული შემოდგომის აზნაურები უკანასკნელად დაიტირა კლდიაშვილმა თავისი მწვავე, მახვილი სოციალური სატირით მან შეუბრალებლად გაამასხარავა აზნაურული წოდება და მოგვცა მათი ცხოვრებიდან მეტად მნიშვნელოვანი შტრიხები. ვის არ მოგვრის სიცილს მოხუც დარისპანის ხეტიალი თავის ქალით, რომ ის ვინმეს შეაჩეჩოს, ვის არ გააცინებს დარისპანის აზნაურული ტრაბახი. დარისპანი აზნაურია, მაგრამ მის ქალს არავინ თხოულობს.

კლდიაშვილის შემოქმედება მთელი თავისი დეტალებით მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი ყოფის სინამდვილესთან. მისი შემოდგომის აზნაურები მწარე სინამდვილის ტიპებია. კლდიაშვილის წერის მანერა სოციალურ მნიშვნელობის სატირაა

კლდიაშვილის შემოქმედებითი გზა მომდინარეობს გიორგი წერეთლიდან და იგი მჭიდროთაა დაკავშირებული ეგნატე ნინოშვილთან.

კლდიაშვილის ტიპები თვით ცხოვრების მიერ არიან სასაცილოდ აგდებული, რომელთაც მწერალმაც უთავაზა თავისებური მახვილი სატირა.

კლდიაშვილის სატირა ჯანსაღია და ამის შედეგია ის დამაჯერებელი ტიპები, რომელიც მან მოგვცა თავის ნაწერებში.

**მელაძე.**

# ხ ე ო ბ ა

თებერვალში იჯდა სამი ახალგაზრდა. ორი მავიდაზე. მესამე კი ფეხმოკეცილ სკამზე და კითხულობდა მახლობელ სოფლის უჯრედის მორიგ ოქმს: — ერთხმად მიღებულია ამხანაგი ტიფო ქვათაძე. მისი ოჯახი ასეთია: მამა მენშევიკებმა მოჰკლეს მამისონის უღელტეხილთან, თოვლში და ყინვაში. ისე ღარიბი არიან.

. . . . . .

მაისია, ქვიტკირებში გამჯდარა სიცოცხლე, ათქვირებულ ყლორტებს ართევს ნელი სიო, შაშვი ჭიკჭიკობს, თავს მაღლა სწევს, ნაცრისფერ სივრცეში აწყობილ შაშველ ტოტზე წამომჯდარა და ყრუ არეს დასტვენს.

გაიუშვით სუნთქვაშეკრული ხევებია!

ფერდობში ვიღაც კლდის კიდეზე გადმომდგარა, ყვირის:

— თედო...რ...რე:: ჩემი ძროხა არ გინახავს?

— არა, არა!

— სად წავიდა მაშ? დეთუნი.. დეთუნი...

ხმა ბუჩქებში ქრება.

ქონქოსავით გამოფიტულ წიფლის ფუღუროში რომ ფრთხიალი დაიწყო; ძოძოლა გამოფხიზლებული წივ-წივი, ახალგაზრდამ თავი იქით იბრუნა და ხელში დაკავებული სახრე მისდა უნებურად მოტრიალდა.

ძიძიკა ლიზა აივანზე გადმომდგარა და ეკლესიის მღვრიე ბინდებში დაძირულ ქედს, ტყეებით და ხევებით გადაბუგულს, უნდა დაუძახოს, მაგრამ ხმა არ ყოფნის. ხშირად ახველებს. გულზე ხელს იდებს. იწყევლის გაჩენის დღეს. მეზობლებისაკენ წავიდა ცოცხლივით.

— ნიკო, იცეპ ეიარო ხევით. — და ხელი გაიშვირა ქედისაკენ.

— ძალიან დაღლილი ვარ, თვარა მაგაზე არ გაწუხებდი ჩემო ლიზა. ისე რა უნდის ბოდვასის, მოვა! ან და რისა გეშინიათ, მგლობა ხომ არ არის მე ქალო. მე ორი დღე მყავდა დაკარგული ხარები, მარა აჰ.. არაფერიც არ მოსვლიათ, არც ყაჩაღებს მოუპარავს!—

— აჰ! ქალო! — მწარედ დაქნია თავი და ჯოხი ნერვიულად დაჰკრა მიწას.

მოთმენილი, ფიქრი, გაურკვეველი და არაჩვეულებრივი აზრით და ნატკენი გულით დაბრუნდა სახლში.

მას ჩვეულებად ჰქონდა განუწყვეტელი ლაპარაკი, თუ ვინმე ხედავდა და, თუ არავინ იჭერებოდა, მაშინ ესაუბრებოდა თავის თავს, ან ეზოში შემოსულ ღორებს, ბატებს,— ესეროდა მწარე სიტყვებს.

ხერხემალი მისი მოტეხილია.

ძარღვები უსიცოცხლო.

ფუსფუსებდა, დადიოდა და არ იცოდა რა ექნა!

ეზოში ჩადიოდა რუ, რუში ისხდნენ ბატები. როცა ქარმა ტირიფის ტოტები შეარხია, შეაშინა, ბატებმა ტყრიალი ასტეხეს.

სოფელი გაიხაბა.

ლიზამ გაალო ქოხის კარები, ცეცხლი დაანთო ბუხარში. ტყვერიან თაროზე ციალობს შინ ჩამოსხმული სანთელი, — აპალპალებული ალი უკან ისვრის ფერმკრთალ ლანდებს:

ორი საწოლი და ნაცარში ჩაყურსული ქოთა.

მოხუცი კიდევ ცოცხლობდა შეშკვიდრე ტიფოთი, ეს იყო მისი მომავალი. ეს იყო ის, რომელიც ასულდგმულებდა უკანასკნელ დღეებს!

ახლა ლოცულობს ბრავალძლის წმინდა გიორგის!

საოცარია!

ქვევით ძაღლმა აწეწა ღმუილი, გაბმა ხანგრძლივათ, ყმუოდა საშინლად!

ლიზას ძარღვებში თითქო ქინძისთავ შეუშხაპუნეს, დასწვა სხეული, მწარე მოლოდინმა გაირბინა. პირჯვარი გადისახა და მალი-მალ ბაგეთქვით ლუღლუღებდა:

— უფალო, მიხსენ ავი საქმისაგან!

ძაღლი ისევ ყმუოდა და ყრუდ იმეორებდა მიდამო.

— ვისი ხარ, შე საძაგლო, ვისი?!

— სად გავაჩეროთ ურემი?

— სადაც გინდათ, სადაც სჯობია!

—აქეთ კაცო, ბესოს ნადუქნართან! აქ მოდის სოფელი!

— აგრეა, აგრე ზალიკა, ჰო! — დაიდასტურეს სხვებმაც.

აქ იყო დასვენებულ გლეხობის სადღეურო. დუქნის ფართო ადგილი ჰქონდა წინ, საქონლის ნაგვით სავსე, და ხშირად აქ ვაჭრობდნენ.

უფრო კი მოავალ-ჟამიერს მღეროდნენ, სოფლის ყარაჩოღელები!

სოფლიდან წამოსული გზები ნადუქნართან იყვეცებოდა.

— რა ძროხა იყო, აფსუსი არ არის ამის დაკვლა!?

— რას იზამ, აბა! მეტი გზა არ არი, არ მორჩება და... ამოწმებენ გლეხები.

გლეხობაში იდგა ტიფო და თავს-თავად მოვარდნილ ცრემლებს ხალათით იწმენდდა, ხალათი ჩრაჩნილივით ეფებოდა თვალის უპეებს და აწითლებდა.

ის უცქეროდა ურემზე დაკრულ დეთუნას. —საყვარელ დეთუნის! მის გაშლილ ხესტოებიდან ეონავდა ლორწო, პირუტყვის თვალებში კრთოდა სიბრალული, კუნთები თრთოდნენ, მოტეხილი ფეხი ურმის თვალთან გადაუყარდნილიყო და პატ რა ძარღვით კიდით ეკიდა, ძროხა ხშირად ღმუოდა.

საბრალო დეთუნა!

ტიფო კიდევ კიდევ მივიდა, აილო ხელში დამტვრეული ფეხი. ის იყო ცივი. თავი გაიქნია და ჩაილაპარაკა ჩუმად.

— დეთუნი, დეთუნი...

გლეხები ყოყმანობდნენ:

— თქვით კაცო, კიდო რომ, იქნებ მორჩეს!

— აჰ! — ტუჩები შეატრიალა ვიღაცამ და თავის ქუდით ანიშნა მეორეს, მეორემ: — ასე მგონია! — დაუმატა და მესამემ კი დაბეჯითებით დაადასტურა:

— შე ოჯახქორო, რაღა თქმა უნდა! შენცა, რომ ლაპარაკობ!

კოპიტზე აყუდებულმა თადეომ მძლავრათ დაამთქნარა და დაიყოლა: — აგრეა, აგრე!

როცა მოხუცმა ზალიკამ შავის ჩოხის კალთები ქამარში დაიმაგრა, შეიკეცა, დანა ამოუყო თირის ქვაზე და ყელში გაუყარა. დეთუნის თვალები საშინლად დაიბრუდა, დაიჩამა, ყროხტიდან სისხლმა თქრიალი დაიწყო, — მაშინ ველარ შეიკავა თავი ტიფომ, მაინც ასტეხა საცოდავი ქლოშინი:

— რას შვრები... კაცო... ზალიკა..

— ტიფო! — შეუტია მეზობელმა, — მეტი მოთმენა არა გაქვს, მაგსიდე ვაი-კაცს!..

ტიფომ მიიხედ-მოიხედა და გაწითლდა.

საღამოიდგის ხორცი გაიყიდა,— გლეხებს უკვირდათ „კაი მოვლილი ყოფილაო".

სოფლის ძაღლებმა იყნოსეს, ბილიკები დასერეს ყოველ უბნიდან მოძუნძულობდნენ, დიდი ჯგუფი შეიკრიბა, ბოლოს ჩხუბი ასტეხეს, ბეჟომ შესწყვიტა დუქანში მარტო ბორიალი, გული შეუწუხეს ლორებით და ყეფით, გამოვარდა გარეთ, ლობეში გამოტეხა გრძელი კეტი და გინება დაიწყო:

—ჭადით თქვე... პატრონი დედა...

დუქანს, რომ დასცილდა, მოიშორა ძაღლები, ძერე უკან მობრუნდა, — თვალი შეავლო დუქანს და ბეღურაზე მიკრულ ბოსტანს, რომლის ლობეც გატეხა ლორებმა, მასში სოფლის ქათმები ჩაბუდებულიყვნენ და მზიან დღეებში სილაში მთელი დღეობით ხვანხვალებდნენ.

ლიზა დილით როგორც გაიღვიძებდა სიზმრის ოქმასა და ახსნას მოყვებოდა. ყველა იმის სიზმარი საშინელებას წარმოადგენდა, ყველა იმის სიზმარი ტრაღედია იყო:

— აი, შვილო! წუხელის მესიზმრა, რომ დანით ვიღაცა მოგდევდა, შენ იცინოდი, ხარხარობდი. დაინახე თავი სხვას, ყველას სიცოცხლე უნდა, რათ იკიდებ მტერს, რათ იძულებ მოყვარეს, ა?

ტიფო კი ჩუმათ იცინოდა და ეუბნებოდა: „მერე, მერე", — თუ დედა შეამჩნევდა ასეთ ქცევას, მაშინვე შეჩერდებოდა, შეხედავდა და ეტყოდა:

— ჩუ, შვილო, შენ ბავშვი ხარ, არა იცი რა!

— ჰე... ჰე... ჰე..

— ღმერთო ქვთილად ამიხსენი!!!

დილის გაიღვიძა თუ არა, ქვეშაგებ ქვეშ ასტეხა ჩუმი ტირილი, ტიროდა თავისთვის „ტიფომ არ გაიგოსო", როცა წამოდგა ცრემლები ისევ ადგა თვალებზე, მაგრამ უმალვე შეიშრო.

— დედა რაც არი არი. აგერ სუქანი ხორცი მოვზიარშით, ფული იმდენი შემოვიდა, რომ ერთი უშობელს მოვაკეთებინებ კიდო, კარგა ახლა...

ტიფო სცდილობდა გაერთო დედა. მისი ზავმუკი შხოლნევლობა ლიზას ცრემლსა გვრიდა!

მეტადრე მას შემდეგ, ტიფო რაც კომკავშირის უჯრედში მიიღეს, მან წაახალისა ის, გამხნევდა, აღარ გრძნობდა ობლობას, სიხარულით მიდიოდა კრებებზე. უნდოდა ყველა დაეკოცნა.

დედამ შენიშნა ეს და ეამა, რომ მისი შვილი არ დარდობს.

მას რაღაც უხარიან და მის ძარღვებში ლვივის მომავალი. ეკვრებოდა შვილს, — ჩვეულებრივად, როგორც ხდება მშობლიურ მკერდში — თვალებს უკოცნიდა, გულში იკრავდა, უნდოდა თითებში დაეჭირა მთელი სხეული და ჩუმათ ამბობდა:

— აჰ... მანამ ჩემი კუბო ნახე შვილო, როგორც ჩვენ ძროხის ხორცი შეჭამე თუ ერ... აქამდე ფული მოვიხმარო — არა, არა შვილო მაგას ნუ მოჩრევ.. ნუ გეწყინება დედა...

შემდეგ თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

— მაშინ არ მელირსოს შენი დავიწყება!!.

ტიფომ აღარა სთქვა რა და მხრები აიჩეჩა. მაშ რომელი ერთი იდარდოს მარტოხელა ტიფომ? ძროხის სიკვდილი, ლიზას უზომო ნაღვლიანობა, თუ ოჯახის სხვა საქმე? რა უნდა ქნას?

საკვირველია!

განა მან კი არ ეჭირვება ნუგეში? განა მას არ უნდა თბილი სიტყვა? ბოლოს გამოსავალი ნახა, ან და რა უნდა ექნა—დედა ფულს არ იღებდა!.

ეს კარგი აზრია მშვენიერია. აკი უჯრედში ხმა მისცა სესხის ხელმოწერაზე!?

ის საჩქაროთ მიყვება ნაცრისფერ ლობეებს, მისი სახე სიხარულით იღიმება:

— ათი თუმანის! — იმეორებდა ყოველ ნაბიჯზე.

გარბოდა ღელისკომისკენ და ყველაფერი წინ უწყრებოდა, ტ ნი, ფეხები. ის უკან აღარ იხედებოდა!

რა კარგი აზრია, თვალებში ეჩხირებოდა უჯრედი და ამართული ხელები:

— ვინა ხარ მომხრე? აწიეთ თითი!

— მე!

— მე!

— აქეთ! —იძახდა ყველა.

ტიფო ხომ აქ იყო?

ილმასკომში იზიდავს თვალებს. ტიფო მორბის!

დღეები ჩვეულებრივ. ლიზას სხეულში ჩაჯდა სიკვდილი. ქოხში ბეუტავს ჭრაქი.— ჭრაქის გარშემო ფარფატობს ღამის პეპელა. ლიზა ლოგინზე წევს, გაჭიმული და საშინლად გამხდარი. პირდაპირ სანთელია! ხშირად წელზე მოისვამს ხელს და საშინლად იგრიხება, იწვალებს:

— მომკლა, მომკლა ქარებმა, მჭვალმა! — მერე იყო გარინდებული და ლოცულობდა, ლოცულობდა განუწყვეტლივ!

— არიქა, არიქა!

— რა ამბავია?

— მეჭირწილე მოდის!

ხალხი გარბოდა ლობეებისაკენ, კაბეზის და ბეღურზე მოქცეულ შალის ფრიალით. მამაკაცები ზანტათ გამოდიოდნენ ქოხებიდან და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა ამბავია ტრიფონ რა იცი ახალი?

— რა ვიცი ქე კი მიკრიახობენ ეს ჩვენი ქალები!

იყო სიცილი.

პატარა ბავშვებს ქუდები ხელში დაეჭირათ და აურ-ზაურით ხტოდით, კუნტრუშით, სტვენით წინ უსწრებდნენ ერთი მეორეს და ქალებს აჯავრებდნენ. ხმაურს აყვა ძაღლების ყეფა.

ხალხი მოქუჩდა ცენტრის კალოზე, რომლის გვერდზეც ჩადის გზა—გზას ეძახის ჯვარის.

ახირი ქუდიან მაყრიონს.

— ვისი ქალია, დოდონე, ა?

— არ ვიცი, მგონი ბარველია!

— ბარველი!

— ხო, ისე მოიხრეს მეც!

ლაპარაკობდენ ქალები.

ორღობეებში ისმოდა მაყრიონის სიმღერა, თოფის და რევოლვერების სროლა. მამაკაცები თავებს მოწყვეტილით მოაქანებდენ და პირს ზომაზედ მეტად აღებდენ.

ოდაში გაწყობილ ცხენებს ურტყამდენ მათრახებს და ახალ ნაწვიმარ მიწაზე ათქეშილი ცხენი მუხლ მაგარ ნაბიჯომს აკეთებდა და ფეხებით მოკვეთილი მიწას ჰაერში ისროდა...

ქალის მოუახლოვდენ. ვიღაცა ახალგაზრდამ თავზე ჩამოფხატული ფოხოხი ზევით აიწია, გაშლილი ყავისფერი თვალები გადაუროლა კოპიტის ძირში ერთად შეჯგუფულ გოგონებისკენ და ხმა მაღლა დაიწყო:

თეთრი ბიჭი, არ გიცვნის...
შავი მე... ვარ იხვიტით...
სადაც წამოგეწევი...

ბოყვა ბანი და მაყრიონის გუგუნმა დანარჩენი სიტყვები დაფარა.

სიმღერაზე ხელებს ნერვიულად იფშვნეტდენ.

— სულელები არიან, გიჟები! ტყუილად რათ ხარჯავენ ამდენს ჰა? ვითომ რა არის ეგ ხომში თუ მიითრობა! — სთქვა ტიფომ ხმა მაღლა. ყველას გაუკვირდა.

— ჯვარიც დაუწერიათო, ვაი მაგათ პატრონს!

მოხუცებმა ამას გამოაბეს კუდები.

— აი, მაგას ვიღაცა არა უნდა ჩამოართვა და...

— რას ამბობ ე!

— იმას, რომ არაფერი არ ესმით! — ყველამ იწყინა. თითონ ტიფოც გაკვირვებული დარჩა. არ მოელოდა, რომ მის უბრალო სიტყვებს წყრომით მიიღებდენ. იმის შეხედულებით, ასეთი ამბავი შეუძლებელი იყო. რამდენჯერ დაადგინეს უჯრედში, საერთო კრებებზე, სოფლებში მოხსენება ჩაატარეს, წარმოდგენებიც, რომ არ შეიძლება ჯვარის წერა. აბა, რა არის თავზე რაღაც მოვვალი ქუდის დახურვა?!

— მე კაცო მართლა, ტიფო სულ არ გადაუვარდა ეს ხალხი...

— იმე... ეს ასე არ უნდა იყოსო... შეიქმა საუბარი. მექორწინეებმა ჩაიარეს, ტიფოს კი კამიდიულათ ჩაილაპარაკა:

— ასეა... ასე... ვისაც არ გჯერათ, უჯრედს კითხეთ!

ამ ამბავმა სოფელი გააოცა, როგორ, როგორ მიაყენა შეურაცყოფა სხვა როგორც ... რა, იოსების ოჯახს? დასწყევლა მისი ჯვარიდ წერილი ვაჟი სულ?

სოფელს გაუჩნდა ახალი სალაპარაკო საგანი

ლიზას ავადმყოფს ამგვარი ამბავი აშფოთებდა. საწყლადავით უხდებოდა ისედაც მოყვითალ, გაწყალებულ სიცოცხლეს უმოკლებდა, აღონებდა!

თავადმა ამბაკომ რომ შეიტყო ტიფოს ამბავი, ხანჯალზე გაიკრა ხელი:

— მამარემი არ წამიწყდება, და შვილი არ მომიკვდება, მე რომ იქ ვყოფილიყავ მაგ სიტყვებისათვის გავაჭრობდი მარტო, როგორ გაულანძღავართ ჰა. მეც ხომ იქ ვიყავი ქორწილში. — ჰქონდა ის: — ვინ მოსულა ჩვენ სოფელში, ვინ არი კომკავშირი. ენახოთ, მოსულა, წავა. ნეტა ვიცოდე რავარი კაცია. არ შემხვდის თვარა, გავაჭრობ!

**აკ. გოცირიძე.**

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

# საბჭოთა აღმშენებლობა





**ბათომში შენდება ახალი ელექტრო-სადგური, რომელიც ენერგიას მიაწვდის ბათომს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს.**

# საქართველოს კურორტები

(საზაფხულო სეზონის გახსნა)













ლიკანის სანატორიუმი



# რუსთაველის თეატრი მოსკოვში

პირველ ივნისს, ღამის მატარებლით მოსკოვში ჩამოვიდა საქართველოს პირველი სახელმწიფო რუსთაველის სახელობის დრამა აკ. სანდრო ახმეტელის მეთაურობით.

სადგურზე დახვდნენ საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც მიაცილეს მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის შენობაში.

ორივე თეატრის მუშაკების შეხვედრა იყო მეტად გულწრფელი და მხურვალე, რაც მოწმობდა ერთმანეთთან საძლვილ მეგობრულ დაახლოვებას.

თბილისის სტუმრებს სალამს მცირე ვახშამზე მიესალმნენ ხელოვნების მუშაკთა კავშირის, მთავარხელოვნების, თეატრალურ ოლიმპიადის ორგკომიტეტის, სახატვრო მეცნიერების სახელმწიფო აკადემიის, თათრების ნაციონალურ თეატრის, სახ. თეატრების ცენტრის და მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის დირექციის და მუშაკების წარმომადგენლები.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ერთსა და იმავე დროს უნდებათ გასტროლები რუსთაველის თეატრს მოსკოვში და მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრს თბილისში. ეს არ არის მარტო სამხატვრო ძალების უბრალო შენაცვლება, არამედ ეს არის რევოლუციურ წლების პერიოდში თეატრალური მიღწევების და მუშაობის ანგარიშის ჩაბარება თბილისისა მოსკოვის და მოსკოვისა — თბილისის წინაშე.

ასეთი ანგარიშის ჩაბარება არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ უნდა გადაიქცეს სისტემატიურ მოვლენად.



დამსახურებული არტისტი ი. ნ. ბერსენევი და რეჟ. ალ. ახმეტელი რუსთაველის თეატრის დასის ჩასვლის დღეს მოსკოვში.

ამხ. სანდრო ახმეტელმა მასპინძლებს მადლობა გადაუხადა რუსთაველის თეატრისადმი ასეთ მხურვალე შეხვედრის გამო და საპასუხო აღფრთოვანებულ სიტყვაში დაასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს დიდი მანძილი გვაშორებს, დაახლოვება ჩვენი ერთმანეთთან ამას იქით უფრო მჭიდრო იქნება, ეს დაახლოვება იქნება არა მარტო კულტურული ხაზიჯი, არამედ პოლიტიკურიც, რაც აახლოვებს საქართველოს და რუსეთის მშრომელ მასას, რომლისთვისაც მუშაობენ მოსკოვის მეორე სამხატვრო და რუსთაველის სახელობის თეატრები.

სიტყვების შემდეგ უკრავდნენ ინტერნაციონალს.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის დირექტორის მოადგილე დამ. არტისტი

**ი. ბერსენევი.**

---

ვ. მაიაკოვსკი.

## საბჭოთა პასპორტი

მგლურათ
დავკბენდი
ბიუროკრატობას.
მანდატებს - კი
თავს ლაფი დავასხი
მოწყდი თავიდან —
გზა ფართოა —
ყველა ქაღალდო,
მხოლოდ ამას - კი...—
სინჯავს რონოდის
ვიწრო დერეფანს
ზრდილობიანი, მშვიდი —
მოხელე.
საკუთარ პასპორტს
სულ ყველა აწვდის—
და ჩემ
ალისფერ წიგნსაც
მოხედეს.
ზოგიერთ პასპორტს
ღიმილი ნაზი,
და აბზუება
ზოგიერთ ტუჩის
ინგლისელთ პასპორტის,
ლომი რომ აზის
პატივისცემა
აოავის უქირს.
გამოცოცხლდება
მოხელე მყისვე
მეტი სიმდაბლე
ზრდილობა ახრჩობს,
და ვით საჩუქარს
აიღებს ისე
ამერიკელთა
პასპორტს.
პოლონურს
ისე აშტერდებიან
პოლიციელნი
თითქოს ბრმებია,
და ფიქრობს თავი სპილოსებური:
რა გეოგრაფული ამბებია?!
თავის მუოკი
არ მობრუნებულა
და გულს არც-ერთი
გრძნობა არ შესწვდა,
როცა დანელის
მიაქვთ პასპორტი,
ან ათასნაირ
სხვადასხვა
შვედთა.
უეცრათ
თითქოს
ქუჩებში
დაიკვეს.
მოექცაც ღრანჭი
ამ ადამიანს შ
რის თვალი მოჰკრა
და ხელით დასწვდა
ჩემ ბაშფორთელის
წითელ-კანიანს.
ხელს ცკიდებთ ასე
ქუმბარას
ან ზღარბს,
და სამართებელს
ორ პირ გალესილს
ასე იღებენ ხელში
ხაზიზღარს
გველს
ათასნაირ
შხამით დაგესლილს.
მტვირთელმა თვალი
ჩამიკრა
ძმურათ,
ვხედავ, რომ ბარგსაც
წამიღებს მუქთად,
მაგრამ ჟანდარმი უცქერის
ჯაშუშს
მერე ორივე
მე დამემუქრა.
ო! რომ შეეძლოს
გამამათრახებს,
ჟანდარმთა ჯიში
მომკლავს
და მომსპობს
მხოლოდ იმიტომ,
რომ მე ვატარებ
ამ ჩაქუროვან,
ნამგლოვან
პასპორტს.
მგლურათ
დავკბენდი
ბიუროკრატობას.
მანდატებს-კი
თავს ლაფი დავასხი.
მოწყდი თავიდან —
გზა ფართოა
ყველა ქაღალდო,
მხოლოდ ამას-კი.
ვიღებ ამ ფართო
შარვლის ჯიბიდან
თითქოს საგანძურს
ძვირფასს ვალაგებ,
წაიკითხევით, ალივსეთ ჯიბრით
საბჭოთა ქვეყნის
ვარ
მოქალაქე.

თარგ. მ. პატარიძე.

# თეატრალური მუშაობა სოფლად

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი სოფლად საგიტაციო საშუალებათა გაძლიერების, განსაკუთრებით თეატრალური ხელოვნების. არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ საქმეში საგრძნობი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ის, რაც გაკეთდა გარანტიას იძლევა მუშაობის უფრო გაძლიერების.

სოფლად ადგილობრივი თეატრალური მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას ძალების სისუსტის და სათანადო რეპერტუარის სიმცირის გამო. ამიტომ ერთად-ერთი საშუალება იყო კოლექტივიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მოწყობილი ყოფილიყო მოძრავი სასოფლო თეატრები. ასეთი თეატრები ერთი მხრივ ჩაატარებდენ საგიტაციო მუშაობას და მეორე მხრივ ადგილობრივ დრამწრეებისათვის იქნებოდენ ნამდვილი თეატრალური მუშაობის ნიმუშად.

მოძრავი თეატრების მოწყობის პირველი ცდა ეკუთვნის ცეკავშირს, რომელიც ამ საქმეს ამჟამად თანდათან აძლიერებს და მუდმივად აპირებს იყოლიოს რამდენიმე მოძრავი თეატრი.

თეატრისათვის პროგრამა სპეციალურად იქნა დაწერილი გ. ბუხნიკაშვილის მიერ და შეიცავდა საკითხებს უმთავრესად კოლექტივიზაციის და სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ. პროგრამა დადგმული იქნა ამხ. გ. ბუხნიკაშვილის მიერ.

დასი შესდგებოდა 8 მსახიობისაგან.

3 თებერვლიდან 23 მაისამდე თეატრმა გამართა 77 წარმოდგენა კასპის (გორის ოლქი), მცხეთის (თბილისის ოლქი) და ნაწილობრივ დუშეთის (თბილისის ოლქი) რაიონებში.

ყველა ამ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი იყო 16.600. ე. ი. საშუალოდ 260 კაცზე მეტი თითო წარმოდგენაზე.

თეატრმა მიაღწია დასახულ მიზანს. იგი მართლაც სასოფლო თეატრი იყო და გამართა წარმოდგენები ზოგ ისეთ პუნქტებშიც, სადაც თეატრალური მუშაობის ნასახიც არ ყოფილა.

თეატრს ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობებოდა წინ. მას მოუხდა მუშაობა ზამთრის სიცივეებში და გაზაფხულის წვიმიან დღეებში. არც ისე ადვილია ამ დროს სოფლიდან სოფელში სიარული, მით უმეტეს

თეატრმა მიიღო აურაცხელი წერილობითი დახასიათება პარტიულ-საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან, სოფლის კულტურულ ძალებისაგან, რომლებიც თეატრს ახასიათებენ ერთ-ერთ საუკეთესო საგიტაციო საშუალებად მიმდინარე დამკვრელი ამოცანების გატარების დროს.

ამ თეატრის ნაყოფიერმა მუშაობამ საშუალება მისცა ცეკავშირს უფრო ფართოდ დაეყენებინა „თეატრის საქმე.

ამხ. გ. ბუხნიკაშვილის მხატვრულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობით ცეკავშირმა უკვე მოაწყო სამი ასეთივე თეატრი, რომლებმაც უნდა იმუშავონ სოფლად მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

ყველა მსახიობები სპეციალურად გამართულ კურსებში მომზადებულნი არიან სოფლად მუშაობის მიმდინარე საკითხებში და კერძოდ პოლიტ-განათლების მუშაობის მეთოდიკაში. მათი მოვალეობაა გარდა წარმოდგენების მართვისა აწარმოონ სოფლად კულტურული მუშაობა ქოხ-სამკითხველოს





პირველი ასეთი თეატრი დაარსდა გასულ წლის დეკემბერში ცეკავშირის და სოფლის კავშირის თაოსნობით. თეატრის ხელმძღვანელობა მიენდო ამხ. გ. ბუხნიკაშვილს—თბილისის სატირის თეატრის ხელმძღვანელს. მისი საშუალებით მოძრავ თეატრში გადატანილი იქნა ის უმთავრესი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს სატირის თეატრი, ესე იგი, თეატრის გამასიურება, თეატრის მისვლა მაყურებელთან, მარტივი, ელასტიური გაფორმება, თანამედროვე შინაარსი, გამოყენება ხალხური შემოქმედების და ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების.

გზების და გადასაზიდ საშუალებების ხშირად უვარგისობის გამო. ბევრი შემთხვევა იყო, რომ მსახიობები ფეხით მიდიოდენ 8—10 კილომეტრს. ბევრგან არ იყო წარმოდგენისათვის სათანადო ბინა. იყო შემთხვევა—სოფ. ფერმაში (კასპის რაიონი) თებერვალში ცის ქვეშ გაიმართა წარმოდგენა.

ასეთი დაბრკოლებები გადალახული იქნა მსახიობების თავდადებული მუშაობით.

თეატრმა დიდი პოპულიარობა დაიმსახურა გლეხობის შორის. მას ყოველმხრივად ხელს უწყობდენ ადგილობრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით კოლექტივების გამგეობები და სამომხმარებლო კოოპერაციები და სხვა კულტურულ დაწესებულებათა საშუალებით.

თეატრების პროგრამა სავსებით თანამედროვეა, უმთავრესად აშუქებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კოოპერაციის საკითხებს.

თეატრები უკვე გაემგზავრენ სოფლად სამუშაოდ.

ცეკავშირის წარმატებით მუშაობა სოფლის კულტურულ დონის აწევის საქმეში საუკეთესო მაგალითად უნდა გადაიქცეს სხვა სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის.

**ბერდს.**

# სვანეთის გზა

დგება მყინვარი ნაღვერდალივით,
გარბის ჯიხვების ჯოგი დამფრთხალი,
გამთიადისას მზით მოტანილი
და არწივების ისმის ფართხალი.
კლდესთან ომია გაჩაღებული,
კლდე დამარცხდება ლაჩარ-მტერივით!
ჰქუხს ლაღუმები—აჯანყებული!
ხდება ჭაური ქვით დატენილი!
ჰქუხს ლაღუმები, კლდე იღუნება,

და იხურება ქვებით ხეობა,
მტერით იბურება ირგვლივ ბუნება
და სხვაფერდება სანახაობა.
ისევ გუგუნებს ხმა ლაღუმების,
დაბლა ენგურიც ჰქუხს და ღრიალებს;
მოდის ჭაურში ქვების ღრუბელი,
დაფშვნილი ხრეში ხევში ხრიალებს.
გულს სიხარული უნდა ჰბოჭავდეს,
შეგრძნობა ჰქონდეს საქმის კეთების,
გაუვალ კლდეზე, როს გზა მოსჩანდეს,

გზა გაკვლეული მშრომელთ მკერდებით!
გზა ხალხის ხსნის და ავტომობილის
გზა წინწავლობის, ამქუხარების,
გზა ძველ ცხოვრების დამამხობელი
და შემომტანი რკინის ზარების.
აქ ინდუსტრია ულევ მადნებით,
გამდიდრებული აგუგუნდება!

**შ. შამფრიანი.**

# გენ. კროჟერი — „საშინელი წიგნი“

სამხედრო ლიტერატურა მსოფლიო ომის შესახებ გამდიდრდა ახალი წიგნით, რომელსაც ინგლისის სამხედრო-საზოგადო წრეების ორგანომ — „დეილი ტელეგრაფ“-მა „საშინელი წიგნი“ უწოდა. ლაპარაკია ინგლისელ **კროჟერის** წიგნზე — „მუზარადი ცეცხლის ხაზზე“. გენერალი კროჟერი მსოფლიო ომის დროს ინგლისის ბრიგადის უფროსი იყო დასავლეთის ფრონტზე.

„დეილი ტელეგრაფ“-მა მის წიგნს „საშინელი“ უწოდა არა იმიტომ, რომ მასში აღწერილია ისეთი ფაქტები, რომლებიც თმებს ყალყზე აყენებენ. გაზეთი იმით არის აღშფოთებული, რომ „მუზარადი ცეცხლის ხაზზე“ კროჟერის უნებურად „დიდების შარავანდედს“ აცლის „ომის გმირებს“, აშკარავებს ომის კლასიურ ხასიათს.

ერთი გენერალი ამ წიგნის შესახებ აღშფოთებული სწერდა შავრაზმულ „მორნინგ პოსტ“-ში: „ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება ნებაყოფლობით ამოყვარო ტალახში მუნდირი, რომელსაც ატარებ? ყველაზე უარესი ის არის, რომ კროჟერი, როგორც სამხედრო პირი, მხოლოდ ქების ღირსია, მისი ნამსახურობის ნუსხას შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა, რა გინდ წინასწარი განზრახვებით არ იყოს იგი შეპყრობილი. კროჟერი გადააყენეს მას შემდეგ, როცა მან არხანგელსკთან დასაჯა რამოდენიმე კადეტი, რომლებიც მოსახლეობას ძარცვავდნენ“.

მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი ამ „საშინელი წიგნიდან“ (ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ ეს ნაწყვეტები მართლა ყველაზე საშინელი როდია კროჟერის წიგნში, იქ არის უფრო მძიმე, ჟრუანტელის მომგვრელი ფაქტები):

## „საზარბაზნე ხორცი“

1915 წლის შემოდგომა... დიდი, უწესოთ მიმავალი ბრბო, რომელიც არაფრით წააგავს მეფის წინ ცერემონიალური მარშით მიმავალ მწყობრ რაზმს. ტომმი (ე. ი. ინგლისელი ჯარისკაცი) დაიღალა, მას შია და ალოჩობს წყურვილი. რაზმი ძლივს მიათრევს თეხებს, მაგრამ მას მიერეკებიან ბრძოლაში. ცოტა მღვრიე წყალი და ისევ უკან... მეორე დიდი პარტია... მათ არ უნდათ წასვლა ცეცხლში და ცდილობენ თავი დააძვრინონ. მათთან მივარდება ახალგაზრდა ოფიცერი. მას **უბიძგებენ. ოფიცერი ისვრის და** ჯარისკაცი, თითქო მოცელილი, მის ფეხებთან ეცემა. ეს გავლენას ახდენს სხვებზე... რაზმი მიდის სასაკლაოზე.

1917 წ. ბურბონის ტყეში. რაზმი გარბის სიკვდილს, მაგრამ უფროსის რევოლვერმა დააწვინა ხუთი. ჩვენი ლიუისები (ტყვიამფრქვევები), გერმანელებისათვის დანიშნულნი, შესანიშნავი ტყვიის ცეცხლით რწყავენ ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც პანიკამ შეიპყრო. ბალახი წითლად იღებება... ბევრი დაწვა, რომ აღარ ადგეს, დანარჩენები კი მიდიან იქით, სადაც მათ მიერეკებიან.

1918 წელი. „მოკავშირე“ პორტუგალიის ჯარისკაცები უწესრიგოდ გარბიან. მაგრამ ზომები მიღებულია — ხომ ძნელი გასარჩევია გერმანელი ჯარისკაცის ფორმა პორტუგალელ ჯარისკაცის ფორმისაგან. მინდორი იფინება ჩვენი ტყვიამფრქვევების ტყვიებით გაცხრილულ პორტუგალელ ჯარისკაცებით“.

## „ჯარისკაცის დახვრეტა“

... ის დააკავეს საკმაოდ შორს მისი ნაწილიდან. მას სთვლიან დეზერტირად და ბევრი ლაპარაკისა და მსჯელობის გარეშე უსჯიან დახვრეტას. მე პირადათ ვადევნებ თვალყურს მზადებას განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ჩვენ ადგილი მოვამზადეთ პარკში. გამოვიძახე ერთი ახალგაზრდა ოფიცერი, პირდაპირ უყურებ თვალებში და ვეუბნები: „თქვენ უხელმძღვანელებთ გუნდს. ჯარისკაცები გაბრაზებული და ნერვებაშლილი იქნებიან. შესაძლოა, რომ ტყვია არ მოხვდეს ნიშანში. თქვენი რევოლვერი წესრიგში უნდა იყოს. თუ ექიმი გეტყვით, რომ ჯარისკაცი ცოცხალია, თქვენ მაშინვე უნდა მიუახლოვდეთ მას. მიადოთ რევოლვერი გულზე და გამოუშვალოთ ჩახმახს. გაიგეთ“?

— მესმის, — მივიღე პასუხად.

ყოველ შემთხვევისათვის ოფიცერი ვახშმად წავიყვანე ჩემთან. ვინ იცის იქნებ დათვრეს „გამბედაობისათვის“. რაც შეეხება დეზერტირს, მას ღამით თითქმის ნახევარი ვედრო ვისკი დაულიეს. შედეგი მშვენიერია — როცა ის დილით დასახვრეტად გამოიყვანეს, მთვრალი იყო ისე, რომ არაფერი გაეგებოდა და თან შეეკრათ ბაწრით. ის მიიყვანეს ხესთან, რომელზედაც თითქმის ჩამოჰკიდეს, რომ არ წაქცეულიყო. თვალები ახვეული აქვს, მაგრამ ეს **მხოლოდ ფორმალობაა, ვინაიდან ის ისედაც ვერაფერს ხედავს. მოკლე** ბრძანება, არეული სროლა. ექიმი შინჯავს ჯარისკაცს და ჩუმად რაღაცას ეუბნება ოფიცერს, უკანასკნელი მიდის ხესთან, ყრუ გასროლა და ყველაფერი გათავდა. ჩვენ გვაგვიანდება საუზმეზე. გზაზე უკან ვიხედებით და ვხედავთ: ათამდე ჯარისკაცს თავი მოუყრია გვამთან. ამხანაგები უკანასკნელ სალამს აძლევენ თავის უბედურ ძმას“.

## „ბატონი ოფიცრები“

... მთვარის შუქზე მე ვხედავ ცარიელ მიწაზე მჯდომ ოფიცერს. მას ხელში უჭირავს ბოთლი და რაღაცას ბუტბუტებს ენადაბმული. უცებ კვამლი, მტვერი, მყრალი სუნი და ტალახი — ჩამოვარდა ბომბა. შემდეგ სანიტრები ეძებენ... პოულობენ ხელს, ფეხს. მე წერილს ვწერ მის ცოლს: „თქვენი ქმარი მოკვდა ისე, როგორც ეს შეშვენის გმირს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო — სიყვარული ცოლისა და სამშობლოსადმი“.

ოფიცრები დღიან - ღამიან სვამენ. ერთ ხანს მე საგონებელში მაგდებდა ორი ბატალიონის უფროსი, რომლებისათვისაც ბოთლი არაყი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მათთვის მინდობილი ხაზის დაცვა. ორივე — ქამა-სმის სპეციალისტი, ორივე — საშიშროება ბატალიონისთვის. ერთხელ ერთი მათგანი ისე დათვრა, რომ წინა მორიგემ ვერ გაბედა მისთვის ბატალიონის ჩაბარება და ელოდებოდა მის გამოფხიზლებას. შემდეგ მე მოვახერხე მათი თავიდან მოცილება, მოვაწყვე ზურგში. ორივენი დააჯილდოვეს „მამაცობისთვის“, ჩვენ კი განვთავისუფლდით მუდმივ შიშისგან“.

თავის წიგნის მეორე ადგილას კროჟერი უბრუნდება ოფიცრების დაჯილდოებას: „პირადი მეგობრობა და პორტერის გადაკვრის დროს ანეკდოტების მოხერხებულად თქმა — ხშირად საკმაო მოტივია დაწინაურებისათვის. მე ჩემი ბრიგადიდან განვდევნე ერთი ასეთი ვაჟბატონი, მაგრამ მან მაინც მიიღო ნაწილის უფროსობა და მოკლულ იქნა 400 კაცთან ერთად. ამბობენ, რომ მან დაუშვა რაღაც ელემენტარული სტრატეგიული შეცდომა“-ო.

## „როგორ უნდა მზადება გამარჯვებისათვის“

„მთავარია — ყოველი საშუალებით ეცადოთ მიაღწიოთ იმას, რომ თქვენს ჯარისკაცებში აღძრათ სისხლის წყურვილი. **საჭიროა** უამბოთ მათ, რაც



იმპერიალისტების „კაცთმოყვარეობა" ჩინეთში

---

შეიძლება მეტი ისტორიები გერმანელთა მხეცობის შესახებ, მათ მიერ ქალების გაუპატიურების შესახებ, საბრალო ბელგიელების აწიოკების შესახებ. ყველაზე უკეთესია ეს გააკეთოთ პოლკის მღვდელის საშუალებით. მე საერთოდ ვთვლი, რომ ყველაზე უკეთესი საშუალება სისხლის სადისტური წყურვილის გამოსაწვევათ —ეს არის ქრისტიანული ეკლესია მისი მუსიკით, რიტუალებით და მთელი აპარატით. ჩვენ მშვენიერად ვისწავლეთ ეკლესიის გამოყენება".

## „პატარა შეცდომა"

„ჩვენი ტყვიამფრქვევები ხალხს სცელავენ, როგორც ბალახს ცელი. „დასცხე მაგრად" — მესმის ოფიცრის ხმა. ვუცქერი ბინოკლში. „რას შვრებით, — ვყვირი მე, — ეს ხომ გერმანელებია, ტყვედ გვნებდებიან და მათ გარს აკრავს ჩვენი ჯარისკაცები. ეშმაკებმაც წაგიღოთ, შეაჩერეთ ცეცხლი"! მაგრამ სროლა ინერციით გრძელდება. ნიშანი მშვენივრად არის აღებული. ნელ - ნელა სროლა წყდება.

— „ესენი ხომ მხოლოდ გერმანელები არიან", — მესმის ახალგაზრდა ხმა.

ბრძოლაში ინგლისელი ჯარისკაცის დახასიათებისას კროკერი ცივი ირონიით სწერს: „ჩვენი ტომი მშვენიერი ბიჭია — ის იშვიათად გასცილდება ბარბაროსობის საშუალო ფარგლებს. მართალია, ის ზოგჯერ ჰკლავს ტყვეებს, რომ თან არ ათრიოს სანგრებამდი".

**მენ.**

# ფრიტიოფ ნანსენი







ფრიტიოფ ნანსენი, პირველი გემი, რომლით იმოგზაურა ჩრდილო პოლიუსზე და ქარტა, სადაც ნაჩვენებია შავი ხაზით ნანსენის ყინულოვან ოკეანეზე გავლილი გზა.

ამ ერთი თვის წინად, სახელდობრ მაისის 13 ქ. ოსლოში გარდაიცვალა დიდი ნორვეგიელი მოგზაური და მეცნიერი ფრიტიოფ ნანსენი, რომელსაც მის თანამემამულე, შარშან დაღუპული როალდ ამუნდსენის გვერდით უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პოლარული ქვეყნის გამოკვლევაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი დიდი ნორვეგიელი ღირსეული მემკვიდრეები არიან წარსული საუკუნეების მოგზაურებისა, რომ მათ დაამთავრეს კოლუმბისა, მაგელანისა, ვასკო დე გამასი და კუკის მიერ დაწყებული საქმე—ჩვენი დედამიწის გამოკვლევა და შესწავლა.

ფრიტიოფ ნანსენის ექსპედიციებში ყველაზე ცნობილია მისი მოგზაურობა არქტიკულ ქვეყნებში ხომალდ „ფრამზე“. ეს მოგზაურობა მან დაიწყო 1893 წელს და დაასრულა 1896 წელს, ე. ი. სამი წლიწადი გაატარა ყინულისა და ზღვების სამეფოში. ამ ხნის განმავლობაში მან ყინულში გაჭედილი ხომალდიდან ერთ თავის ამხანაგთან ერთად ქვეითად იმოგზაურა და აუწერელ დაბრკოლებათა დაძლევის შემდეგ ეგრეთ წოდებულ ფრანც-იოსების მიწამდე მიაღწია. მართალია ნანსენმა ჩრდილოეთ პოლიუსს ვერ მიაღწია, მაგრამ მისი ექსპედიციის მეცნიერული შედეგები მაინც განუზომელია. ნანსენმა რამდენიმე კუნძული აღმოაჩინა ყინულოვან ოკეანეში და გამოარკვია რომ ზღვა ჩრდილოეთის პოლიუსის მახლობლად თხელი კი არ ყოფილა, როგორც წინად ეგონათ, არამედ მეტად ღრმა. ნანსენამდე გეოგრაფებს წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ჩრდილოეთის პოლიუსი უძრავი, მტკიცე ყინულის მასსივითაა დაფარული. ნანსენის ექსპედიციამ არქტიკულ ზონაში ყველგან ყინულის უზარმაზარი ნამსხვრევები ნახა, რომელნიც დასავლეთისკენ მოძრაობენ. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ აქ ყინულებს ქვეშ მოთბო ოკეანური მიმდინარეობა არსებობს. პოლარული ბასეინის წყალი უფრო მარილიანი აღმოჩნდა, ვიდრე წინად ეგონათ და სხვ.

ნანსენმა შემდეგაც ბევრი გააკეთა არქტიკული ქვეყნების გამოკვლევის დარგში. იგი იყო „პოლარული ქვეყნების გამომკვლევი საერთაშორისო საზოგადოების“ თავმჯდომარე და მომავალი წლისათვის დიდ საჰაერო ექსპედიციას ამზადებდა, რომელსაც ამ მიზნით ცეპელინი უნდა გამოეყენებინა.

მაგრამ ფრიტიოფ ნანსენი იყო არა მარტო დიდი მოგზაური და მკვლევარი, არამედ დიდი ჰუმანისტიც, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ანატოლ ფრანსსა, რომენ როლანსა და ანრი ბარბიუსთან ერთად იგი იმ მოწინავე ევროპიელი ინტელიგენტების მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელმაც გაიგო ოქტომბრის რევოლუციის მთელი ისტორიული მნიშვნელობა და აღფრთოვანებით მიესალმა მას. ფრიტიოფ ნანსენი საბჭოთა კავშირის გულწრფელი და ერთგული მეგობარი იყო, იგი რამდენჯერმე ეწვია მას. ჯერ 1921 წელს, როცა დაშიმშილებული ვოლგის მხარისთვის დახმარება გაიწია, ბოლოს ამ ორიოდე წლის წინად, როცა ოსმალეთში გადახვეწილი სომხებისათვის სამშობლოში დაბრუნება მოეწყო. იგი ყოველთვის გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევდა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ინტრიგებს, არა მარტო ჰუმანური მოსაზრებით, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა კავშირს კაცობრიობის განმტკიცებელ ფაქტორად სთვლიდა. თავის წიგნში „რუსეთი და მშვიდობა“ იგი სწერდა: „შეიძლება ეჭვი დაებადოს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კულტურის მომავალ განვითარების შესახებ, მაგრამ უეჭველია, რომ საბჭოთა კავშირს დიდი მომავალი ელის და მან დიდი მისია უნდა შეასრულოს მთელი მსოფლიოს მიმართ. მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ უახლოეს მომავალში საბჭოთა კავშირი არა მარტო მატერიალურ ხსნას მოიტანს დასავლეთ ევროპის, არამედ სულიერათაც განაახლებს მას“.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასაც თავის მხრით სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა დიდ ნორვეგიელს. იგი მოსკოვის მუშათა და გლეხთა საბჭოს საპატიო წევრად იყო არჩეული.



გერმანიიდან მიღებული გუთნების გადმოტვირთვა სოფლებში გასაგზავნად.



ბათომი. ახალი მძლავრი ნავთის საწმენდი ქარხნის აგება ამერიკული სისტემით



ფოთი. გემიდან პურის გადმოტვირთვა ამიერ-კავკასიისათვის

# ვ. გოგლიძე—ჩვენი პირველი მაესტრო

ვიქტორ გოგლიძე — ჭადრაკის პირველი ახალგაზრდა მაესტროა ქართველებში. მისი უკანასკნელი მატჩი საბჭოთა კავშირში ცნობილ ჭადრაკის ოსტატთან — მაესტრო ვლადიმერ ნენაროკოვთან — იშვიათი ინტერესით ჩატარდა.

მაესტრო ნენაროკოვს მრავალი მატჩი ჰქონია ისეთ გამოჩენილ მოჭადრაკეებთან, როგორიც ალიოხინი, დუზ - ხოტიმირსკი, გრიგორიევი და სხვები არიან. მას თითქმის არც ერთი მატჩი არ წაუგია. ასეთი უძლეველი მოთამაშე შეხვდა ჭადრაკის საბრძოლველ ასპარეზზე რაჭველ გლეხის შვილს — ვიქ. გოგლიძეს.



ამხ. გოგლიძე და მაესტრო ნენაროკოვი უკანასკნელ მატჩის თამაშის დროს

მაესტრო ნენაროკოვისა და ვ. გოგლიძის სახით ერთი მეორეს ებრძოდა აწმყო და მომავალი, ძველი თაობა და ახალი თაობა. მრავალნაირი გამოცდილების მქონე მოხუცი ლომი სამკვდრო - სასიცოცხლოდ დაეტაკა ღონითა და ენერგიით აღსავსე ვეფხს და დამარცხდა.

თერთმეტი გათამაშებულ პარტიიდან მაესტრომ მოიგო სამი, ყაიმით დაამთავრა ორი და წააგო ექვსი. მატჩის ბოლოს მიღებული ძალთა ასეთი განწყობილება აშკარად მოწმობს, რომ გოგლიძის სახით ჩვენ გვყავს ნიჭიერი მოჭადრაკე- ამიერიდან კი პირველი ქართველი მაესტრო, რომელსაც საუკეთესო მომავალი ელის, როგორც ჭადრაკის ფალავანს.

ჭადრაკი საქართველოში ძველთაგანვეა ცნობილი. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ჭადრაკი ფართოდ იყო გავრცელებული. ჭადრაკი ფიზკულტურის ერთ-ერთი დარგია და სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი „ჭადრაკი—ფართო მასებში" დღეს უკვე განხორციელებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ვ. გოგლიძესათვის მაესტროს სახელი მთელი ახალგაზრდობის ფიზიკური და მთელი ახალგაზრდობის ფიზიკური და გონებრივი სიჯანსაღის ატესტატია.

**დამირ**



ოქტომბრელები ბოსტანში



ოქტომბრელები საბავშო ბაღში მუშაობის შემდეგ რადიოს ისმენენ

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ნავთლუღში საქ. მრეწველობა ქალაქ გარედ აარსებს ახალ სახ. მეურნეობას. სურათზე: სანიმუშო-საჩვ. ბოსელი 50 ძროხისათვის.



სახალხო მატარებლის ცეხი სტალინის სახელ. ქარხანაში, სადაც გამოუშვეს ნორმაზე ზევით 5 ვაგონი. სურ. ცეხის მუშა-დამკვრელები"



საქ. სატყეო ქარხანაში ერთ-ერთი დურგალი ქალი არუთინოვა. შეჯიბრებში მიიღო 1-ლი ჯილდო.



„მკერავის" მეორე ქარხანაში ქალებს ავარჯიშებენ ახალ ჭრა-კერვის მანქანაზე



სტალინის სახელობის ქარხანამ თბილისში სპარსეთისთვის მიიღო ორთქლმავლების დაკვეთა. სურათზე: მუშა-დამკვრელები და პირველი დაკვეთილი „ორთქლმავალი.



თბილისის „აბრეშუმის-საქსოვ ქარხანაში ქალი ამოწმებს ძაფის ვარგისობას.



თბილისში აშენდა სადნობი ღუმელი, რომელიც ელექტრონით მუშაობს. ასეთი ღუმელები უნდა ქიათურაში. ამ დღეებში ღუმელის ცდას მოახდენენ




26 კომუნარის სახელობის ქარხანაში დაფა, რომელიც უჩვენებს მიღწევებს და ნაკლს და მოუწოდებს: „ყველა ძალები საწარმოო-საფინანსო გეგმის „შესრულებისათვის".

# ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲔᲑᲘ



**ინდოელი მუშა ქალები-ქუჩის სატკეპნელს მიათრევენ.**

რევოლიუცია ინდოეთში სწრაფად მიდის წინ. მთელი ინდოეთის მუშათა კლასი თავგანწირულად იბრძვის, მაგრამ განსაკუთრებულ აქტივობას მუშა ქალები იჩენენ. ეს არაა გასაკვირვალი, მიტომ რომ არსად დედამიწის ზურგზე მშრომელი ქალები ისე დაჩაგრული არ არიან, როგორც ინდოეთში. სოფლის მეურნეობასა, შინამრეწველობასა, ინდუსტრიასა, მაღაროებში მუშების მესამედს ქალები წარმოადგენენ. მუშაობის დრო განუსაზღვრელია. გარდა მაღაროებისა, სადაც ქალებისთვის თერთმეტი საათის სამუშაო დღეა დაკანონებული. დედაკაცის საშუალო ხელფასი დღეში დაახლოებით ექვს შაურს უდრის, მისი უფლებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა უარესია, ვიდრე საშუალო საუკუნეების შინაყმისა. რადგან ქალის შრომა ასე იაფად ფასობს, ინგლისელი და ინდოელი კაპიტალისტები ქალებს ისეთ სამუშაოსაც კი ასრულებინებენ, როგორსაც სხვაგან მოტორი ასრულებს.



ბათომი. „აზნეფტსტროი“-ს ნავთის გადამმუშავებელ ქარხნის მშენებლობა.

# გამოვიდა და იყიდება

## ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ჟურნალი

# „ბოლშევიკი“

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

### თბილისში:

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

### პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

### ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | —2 მ. 50 კაპ. |
| 6 თვით . . . . . . | —1 მ. 50 კაპ. |
| 3 თვით . . . . . . | — 75 კაპ. |
| 1 თვით . . . . . . | — 25 კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი“-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 1225. ტირაჟი 5200. საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“ გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.